ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

თსუ აკადემიური საბჭოს მიერ

ოქმი # .....

დადგენილება # .....

..... 2013წ.

სამაგისტრო პროგრამა

ტურიზმი

2013

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ტურიზმი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი

„შეთანხმებულია“

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

.....

„შეთანხმებულია“

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი
თ. ვეფხვაძე

.....

პროგრამის ხელმძღვანელები:

თსუ სრული პროფესორი
ტურიზმის კათედრის ხელმძღვანელი
მაია მარგველაშვილი .....

თსუ ასოცირებული პროფესორი

ეკა ლეკაშვილი .....

2013

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. **ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ..... გვ. 4**

ა/ ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ..... გვ. 4

ბ/ მისანიჭებელი კვალიფიკაცია ..... გვ. 4

გ/ პროგრამის მოცულობა კრედიტებით ..... გვ. 4

დ/ სწავლების ენა ..... გვ. 4

ე/ საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა ..... გვ. 4

ვ/ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ..... გვ. 4

ზ/ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ..... გვ. 4

თ/ სწავლის შედეგი .... გვ. 5

ი/ სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები ..... გვ. 6

კ/ სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ..... გვ. 6

ლ/ სასწავლო გეგმა ..... გვ. 7

მ/ პროგრამის ხელმძღვანელი ..... გვ. 13

ნ/ დასაქმების სფეროები ..... გვ. 13

ო/ დამატებითი ინფორმაცია ..... გვ. 13

პ/ პროგრამის ანალოგები ..... გვ. 14

2. **დანართი 1 – საგამოცდო საკითხები ..... გვ. 15**
3. **დანართი 2 – კურსების სილაბუსები ..... გვ. 16**
4. **დანართი 3 – განმახორციელებელი ადამიანური რესურსები ..... გვ. 184**
5. **დანართი 4 – მატერიალური რესურსები ..... გვ. 210**
6. **დანართი 5 – პროგრამის დამტკიცების აქტი ..... გვ. 211**
7. **დანართი 6 – პრაქტიკის ობიექტიდან თანხმობის წერილი ..... გვ. 212**

სამაგისტრო პროგრამის შინაარსი

ა) სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება - ტურიზმი (Tourism)

ბ) მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი
(Master in Tourism and Hospitality Management)

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 120 ECTS კრედიტი.

დ) სწავლების ენა – ქართული

ე) პროგრამის აქტუალობა

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა უაღრესად აქტუალურია მთელი რიგი მიზეზების გამო: ტურიზმი აღიარებულია ჩვენი ქვეყნის განვითარების პრიორიტეტად. ამასთან, 2012 წლის მარტში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის მასპინძლობის, საცალო ვაჭრობისა და სპორტის მენეჯმენტის კოლეჯის დეკანების მიერ ხელი მოეწერა განზრახულობათა წერილს აკადემიური თანამშრომლობის თაობაზე, რომელსაც მოჰყვა აშშ-ს მხარის წერილობითი შემოთავაზება ურთიერთობების გაღრმავების შესახებ. მათ შორის: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ტურიზმისა და მასპინძლობის ახალი სამაგისტრო პროგრამის დანერგვის შესახებ, რომელშიც ჩართულები იქნებიან ამერიკელი პროფესორები, თსუ-ს შესაბამისი აკადემიური პერსონალის გადამზადების და ტურიზმის მიმართულების სტუდენტთა გაცვლის, ერთობლივი კვლევების ჩატარებისა და მკვლევარ-მეცნიერთა გაცვლის შესახებ. უკვე შეთანხმებული და დაგეგმილია ახლო მომავალში ერთობლივი კვლევების ჩატარება საქართველოში თსუ-ს ტურიზმის მიმართულების სტუდენტთა მაქსიმალური ჩართვითა და მონაწილეობით. გარდა ამისა, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მონაწილეობას იღებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ფარგლებში ტურიზმის სამეცნიერო–საგანმანათლებლო ქსელის (კონსორციუმის) შექმნის პროექტში. შემოთავაზებული კონსორციუმის ამოცანები გულისხმობს ტურიზმის აკადემიური პროგრამების, ისევე, როგორც ტურიზმის პროფესიონალთა და აკადემიური პერსონალის გრძელი და მოკლევადიანი კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების შემუშავება–დანერგვას. ასევე, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით ინიციატივებს, კურიკულუმების სრულყოფისა და ფართო სპექტრის კვლევით აქტივობებს. ყოველივე ეს აქტუალურს ხდის შემოთავაზებულ პროგრამას.

ვ) პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ტურიზმის სფეროში მაგისტრების მომზადებისა და უმაღლესი დონის მენეჯერული კომპეტენციების განვითარება–გაღრმავებაზე ორიენტირებულ პროგრამას. მისი მიზანია ქვეყნის განვითარების პრიორიტეტად აღიარებული ტურიზმის დინამიური და მზარდი ინდუსტრიის შრომის ბაზარის მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ–ჩვევების, სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ:

(1) ტურისტული ორგანიზაციების სტრატეგიული დაგეგმვის, ეფექტიანი მართვის, ორგანიზებული დაპროექტებისა და სტრუქტურული განვითარების საკვანძო საკითხების

ცოდნა და შესაბამისი უნარ–ჩვევები; (2) ტურიზმის მაღალი დონის მენეჯერების ფუნქციებისა და გადასაწყვეტი ამოცანების თაობაზე ცოდნა და უნარ–ჩვევები; (3) ტურიზმის მართვის სხვადასხვა დონეზე არსებული საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების ცოდნა და სარგებლობის უნარ–ჩვევები; (4) ნებისმიერი სახის ტურისტულ ორგანიზაციაში მარკეტინგული სამსახურის ორგანიზებისა და წარმართვის უნარი; (5) ტურიზმის სისტემების ამომწურავი ცოდნა და ტურიზმის პოლიტიკის ანალიზის უნარი; (6) ტურიზმის სფეროში სამეცნიერო კვლევების დაგეგმვისა და დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; (7) ლიდერული უნარ–ჩვევები და სხვ.

ზ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების სტანდარტები შეესაბამება სახელმწიფო მოთხოვნებსა და საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს. პროგრამაში სწავლის მსურველ ყველა კანდიდატს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმის, ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის პროფილით, ან ამ პროფილების დამატებითი სპეციალობა (Minor). პროგრამაზე სწავლის მსურველებმა უნდა ჩააბარონ საერთო სამაგისტრო გამოცდა და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები დამატებითი გამოცდა სპეციალობაში. კანდიდატს მოეთხოვება, ასევე, ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე მაინც. მისაღები გამოცდა (ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საფუძვლები) წერითია, ფასდება 100 ქულიანი სისტემით. ბილეთი შედგება ოთხი კითხვისაგან, რომელთაგან თითოეული ფასდება 25 ქულით (მისაღები საგამოცდო საკითხები იხილე დანართში 1). გამოცდისთვის განსაზღვრულია 2 საათი, მინიმალური გამსვლელი ქულაა 51. პასუხი შეფასდება შემდეგი წესით:

- 21-25 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცული; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.
- 16-20 ქულა: პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
- 11-15 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები.
- 6-10 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.
- 1-5 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.
- 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.

თ) სწავლის შედეგი

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

1. **ცოდნა და გაცნობიერება:**
   ზოგადი კომპეტენცია:

1.1. გააჩნია მომსახურების მენეჯმენტის, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების მართვის, მყიდველზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბების ცოდნა; გუნდის შექმნის პრინციპებისა და ჯგუფში ლიდერობის მიღწევის ცოდნა;

დარგობრივი კომპეტენცია:

1.2. გააჩნია ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ემყარება ტურიზმისა და მასპინძლობის გარემოსა და მართვის უახლეს თეორიებს, კონცეფციებსა და მიდგომებს;

1.3. გააჩნია ტურიზმისა და საერთაშორისო მასპინძლობის ინდუსტრიის თითოეული სექტორის სტრუქტურული მახასიათებლების, პროდუქტისა და ოპერირების ცოდნა; ტურიზმის კრეატიული განვითარების, ტურიზმის ეკონომიკური სარგებლისა და ხარჯების გამოთვლის, მომხმარებლის ქცევის, ტურიზმში ფასწარმოქმნისა და დისტრიბუციის, ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტის სპეციფიკის, ტურიზმში მეცნიერული კვლევის დიზაინისა და წარმართვის, მასპინძლობის სისტემებისა და პოლიტიკის ანალიზის ცოდნა, რაც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას;

1.4. აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ზოგადი კომპეტენცია:

2.1. გააჩნია კვლევის პროცესის გააზრების, დაგეგმვის, განხორციელებისა და ადაპტირების, კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების უნარი;

2.2. შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;

დარგობრივი კომპეტენცია:

2.3. შეუძლია გამოიყენოს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეარჩიოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები და ინსტრუმენტები; აქვს ტურიზმის განვითარების საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი;

2.4. შეუძლია ოპერირება ტურიზმის მულტიდისციპლინურ და გაუთვალისწინებელ გარემოში; გააჩნია წამოჭრილი კომპლექსური საკითხების შემოქმედებითი მოგვარების უნარი; შეუძლია გამოავლინოს ინიციატივა და პერსონალური პასუხისმგებლობა პროფესიულ პრაქტიკაში; შეუძლია უნარ–ჩვევების ადაპტირება, ათვისება ან შემუშავება და სხვ.

3. დასკვნის უნარი

ზოგადი კომპეტენცია:

3.1. შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და კრიტიკული ანალიზი, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა;

დარგობრივი კომპეტენცია:

3.2. შეუძლია პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; შეუძლია ტურიზმის გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი და მათი შესაძლო

გავლენის განსაზღვრა ფირმის, ტურისტული დანიშნულების ადგილისა და სახელმწიფოს საქმიანობაზე.

4. **კომუნიკაციის უნარი**

ზოგადი კომპეტენცია:

4.1. შეუძლია ეფექტიანად იმუშაოს ჯგუფში, იყოს ლიდერი;

დარგობრივი კომპეტენცია:

4.2. შეუძლია ტურიზმისა და მასპინძლობის კვლევის მეთოდებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან;

4.3. შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები და მოაგვაროს კონფლიქტები; შეუძლია ეფექტიანად იყენებდეს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

4.4. შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა მშობლიურ და ინგლისურ ენებზე.

5. **სწავლის უნარი**

ზოგადი კომპეტენცია:

5.1. შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლისა და პრაქტიკის საჭიროების განსაზღვრა;

დარგობრივი კომპეტენცია:

5.2. გააჩნია დამოუკიდებლად სწავლის უნარი შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით, აქვს სხვების პროფესიონალიზმის გამოყენების უნარი, სადაც ეს შესაძლებელი და მისაღებია;

5.3. გააჩნია დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარებისათვის მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.

6. **ღირებულებები**

ზოგადი კომპეტენცია:

6.1. შეუძლია ახალი და კომპლექსური იდეების შეფასება, სინთეზი და კრიტიკული ანალიზი, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;

დარგობრივი კომპეტენცია:

6.2. შეუძლია ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში ღირებულებათა დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება;

6.3. შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებდეს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

ი) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების ფორმატიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებიდან – ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, წყვილში მუშაობა, ვერბალური მეთოდი, დამოუკიდებელი მუშაობა, წერითი მუშაობის მეთოდი (ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, ესეს შესრულება , ბიზნეს წერილების დაწერას და ა.შ.), შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain

storming), წიგნზე მუშაობის მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, მოდელირებული სიტუაციების განხილვა, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი და სხვ.

კ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლები 51 ქულისა. დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი გამოცდა.

სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესი ასეთია:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია
91 – 100%	ფრიადი (A)	დადებითი
81 – 90%	ძალიან კარგი (B)	დადებითი
71 – 80%	კარგი (C)	დადებითი
61 – 70%	დამაკმაყოფილებელი (D)	დადებითი
51 – 60%	საკმარისი (E)	დადებითი
41 – 50%	ვერ ჩააბარა (FX)	უარყოფითი
0 – 40%	ჩაიჭრა (F)	უარყოფითი

მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების წერითი ნამუშევრები ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

ლ) პროგრამის სასწავლო გეგმა

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტია (აკადემიური წლის განმავლობაში - 60, ხოლო სემესტრის განმავლობაში - 30 ECTS კრედიტი). ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას, აქედან 15 კვირა გამოყოფილია სააუდიტორიო მეცადინეობებისა და შუალედური გამოცდებისათვის. ერთი ECTS კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%-ს, ხოლო 60% – მოდის დამოუკიდებელი მუშაობის წილად.

პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან: სავალდებულო კურსები 65 ECTS კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა 15 ECTS კრედიტი, კვლევითი ნაშრომი – 10 ECTS კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომი – 20 ECTS კრედიტი. არჩევითი კურსებზე მოდის 10 ECTS კრედიტი – 3 არჩევითი 5 ECTS კრედიტიანი კურსიდან ასარჩევია 2 (III სემესტრში).

პროგრამის კურსების სილაბუსები მოცემულია დანართში 2.

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა
პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012 – 2014 წწ.

კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი	საგანზე დაშვების წინაპირობა	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ლექტორი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება სემესტრები			
				სულ	ლექცია	სემინარი				I	II	III	IV
პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – სულ 65 კრედიტი													
	მომსახურების მენეჯმენტი	სავალდ.	არა აქვს	45	15	30	80	ასისტ.პროფ. ნინო ფარესაშვილი	5	5			
	მარკეტინგ-მენეჯმენტი	სავალდ.	არა აქვს	45	15	30	80	ემდ ეკატერინე მაღლაკელიძე	5	5			
	ტურიზმის კრეატიულობა და განვითარება	სავალდ.	არა აქვს	45	15	30	80	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი	5	5			
	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	სავალდ.	არა აქვს	45	15	30	80	ასოც. პროფ. რუსუდან სეთურიძე	5	5			
	ლიდერული უნარ–ჩვევები	სავალდ.	არა აქვს	45	15	30	80	ასისტ. პროფ. ეკატერინე გულუა	5	5			
	სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში	სავალდ.	არა აქვს	45	15	30	80	ასოც. პროფ. ნინო აბესაძე	5	5			
	საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი	სავალდ.	მომსახურების მენეჯმენტი	45	15	30	80	ასოც. პროფ. ეკა ლეკაშვილი	5		5		
	მასპინძლობის მარკეტინგის სტრატეგიები	სავალდ.	მარკეტინგ-მენეჯმენტი	45	15	30	80	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი	5		5		
	ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტი	სავალდ.	მომსახურების მენეჯმენტი	45	15	30	80	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი	5		5		
	კვლევის მეთოდები ტურიზმში	სავალდ.	არა აქვს	45	15	30	80	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი	5		5		
	კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	სავალდ.	ტურიზმის კრეატიულობა და განვითარება	45	15	30	80	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი	5			5	

	ტურიზმი და კულინარია	სავალდ.	საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი	45	15	30	80	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი	5			5	
	მასპინძლობის სიტემები და პოლიტიკა	სავალდ.	ტურიზმის კრეატიულობა და განვითარება	45	15	30	80	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი	5			5	
სპეციალობის არჩევითი კურსები – სულ 15 კრედიტი													
	სამკურნალო ტურიზმი	არჩევითი	არა აქვს	45	15	30	80	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი	5			10	
	სპორტი და ტურიზმი	არჩევითი	არა აქვს	45	15	30	80	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი	5				
	სათავგადასავლო ტურიზმი	არჩევითი	არა აქვს	45	15	30	80	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი	5				
კვლევითი ნაშრომი – 10 კრედიტი													
		სავალდ.	არა აქვს	250		10	240	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი			10		
პროფესიული პრაქტიკა – 15 კრედიტი													
		სავალდ.	ათვისებული მინიმუმ 50 კრედიტი	375		135	240	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი					15
სამაგისტრო ნაშრომი – 20 კრედიტი													
		სავალდ.	კვლევითი ნაშრომი, მთლიანი სასწავლო კომპონენტი	500		20	480	სრული პროფ. მაია მარგველაშვილი					20
პროგრამისათვის სავალდებულო კურსები – სულ 65 კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსები – სულ 10 კრედიტი კვლევითი ნაშრომი – 10 კრედიტი პროფესიული პრაქტიკა – 15 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი – 20 კრედიტი													
სულ 120 კრედიტი													

* არჩევითი 3 კურსიდან ასარჩევია - 2 (III სემესტრში)

სწავლის შედეგების რუქა

#	კურსი / სწავლის შედეგები	კომპეტენციები																			
		1.1	1.2	1.3.	1.4	2.1	2.2	2.3	2.4	3.1	3.2	4.1	4.2	4.3	4.4	5.1	5.2	5.3	6.1	6.2	6.3
1	მომსახურების მენეჯმენტი	X			X				X	X				X	X	X	X	X	X	X	X
2	მარკეტინგ–მენეჯმენტი	X			X	X				X		X	X		X	X	X	X		X	
3	ტურიზმი, კრეატიულობა და განვითარება		X	X	X			X	X	X	X		X		X	X	X	X	X	X	X
4	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	X								X				X		X	X	X	X		
5	ლიდერული უნარ–ჩვევები	X							X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X		X
6	სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში					X	X			X	X	X	X			X	X	X			
7	საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი				X			X	X	X	X				X	X	X	X	X	X	X
8	მასპინძლობის მარკეტინგის სტრატეგიები		X	X	X	X	X			X	X		X	X	X	X	X	X	X	X	X
9	ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტი			X				X	X	X	X	X	X			X	X	X			X
10	კვლევის მეთოდები ტურიზმში			X	X	X	X	X	X	X	X		X	X	X	X	X	X	X		X
11	ტურიზმი და კულინარია							X		X	X	X			X	X	X		X		X
12	კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	X						X		X	X	X		X	X	X	X	X	X	X	X
13	მასპინძლობის	X		X	X			X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

	სიტემები და პოლიტიკა																				
14	სამკურნალო ტურიზმი							X	X	X	X	X		X	X	X	X		X		X
15	სპორტი და ტურიზმი							X	X	X	X	X		X	X	X	X		X		X
16	სათავგადასავლო ტურიზმი							X	X	X	X	X		X	X	X	X		X		X

მ) პროგრამის ხელმძღვანელი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კათედრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი მაია მარგველაშვილი და ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკასვილი (პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსების ლექტორების დეტალური CV იხილეთ დანართში 3)

ნ) დასაქმების სფეროები

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულნი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხით მზად იქნებიან დასაქმდნენ ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს მენეჯმენტის საჯარო და კერძო სექტორების საშუალო და მაღალ პოზიციებზე, მათ შორის ტურისტული ორგანიზაციებსა და სასტუმროებში. მიღებული განათლება საშუალებას მისცემს მათ იყვნენ მცოდნე მენეჯერები, მარკეტინგისა და დაგეგმვის სპეციალისტები სფეროს საჯარო, კერძო და კომერციულ სექტორებში, მათ შორის: ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარებისა და მენეჯმენტის სექტორში, ვიზიტორთა მომსახურების მენეჯმენტის, ოპერირებათა მენეჯმენტის, ტუროპერატორების, სპორტული და გამაჯანსაღებელი ტურიზმის სექტორებში და სხვ. ასევე, შეეძლებათ პროფესიული განვითარებისა და სრულყოფის მიზნით სწავლისა და კვლევითი საქმიანობის გაგრძელება შესაბამის სადოქტორო პროგრამაში.

ო) დამატებითი ინფორმაცია

ტურიზმის კათედრა უქმნის მაგისტრანტს პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ შედეგებს. ამ მიზნით, მაგისტრანტს ეძლევა ფაკულტეტისა და თსუ–ს ბიბლიოთეკებითა და არსებული კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის შესაძლებლობა კვლევის თემასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ასევე, დამატებითი ლიტერატურა (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები) მიეწოდება მაგისტრანტს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

მაგისტრატურის პირველ სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის თემა შეირჩევა მაგისტრანტისა და ხელმძღვანელის სათანადო კონსულტაციების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები მოცემულია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის გზამკვლევში“.

სამაგისტრო ნაშრომის დასაცავად აუცილებელი წინაპირობაა კვლევითი ნაშრომის დაცვა. კვლევითი ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს, რომლის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 25 გვერდისა. მისი დაცვა ხდება მე–2 გაზაფხულის სემესტრის ბოლოს. კვლევითი ნაშრომის გაფორმების მიმართ წაყენებული მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის ანალოგიურია. შეფასება ხდება იგივე სისტემით, დაცვა – კომისიის წინაშე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კათედრის მატერიალურ–ტექნიკური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია ერთდროულად არაუმეტეს 40 მაგისტრანტის მიღება.

პ) პროგრამის ანალოგები

- Purdue University /USA/ - www.cfs.purdue/HTM/graduate/ms_degree.html
- Virginia Tech University /USA/ - www.grads.vt.edu/graduate_catalog/program.htm?
- Temple University /USA/ - http://sthm.temple.edu/grad/explore-ma-tourism.html
- Kentucky State University /USA/ - www.kent.edu/catalog/2010/collegeprograms/eh/gr/
- University of South Carolina /USA/ - http://bulletin.sc.edu/preview_program.php
- Edinburg Napier University /UK/ - www.courses.napier.ac.uk/W31413.htm
- University of Surrey /UK/ - www.surrey.ac.uk/postgraduate/taught/tourismmanagement/

დანართი 1

სპეციალობის საგამოცდო საკითხები

1. მასპინძლობის ინდუსტრიის მახასიათებლები
2. მასპინძლობის კოპრორატიული ფილოსოფია
3. კორპორატიული პროფილი – რიც-კარლტონის სასტუმროების კომპანია
4. ტურიზმის არსი და განსაზღვრება
5. ტურიზმის ხუთი ხანა, მათი მოკლე დახასიათება
6. ტურიზმის ორგანიზაციების მიმოხილვა
7. ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობა
8. ტურიზმის პრომოუტერები – სამოგზაურო სააგენტოები
9. ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტის კომპანიები
10. მოგზაურობის ძირითადი მოტივაციები (მასლოუ, მაკინტოში და გოელდნერი)
11. ეკოტურიზმი
12. პერსონალური პროფილი – ტომას კუკი
13. სასტუმროების განვითარება და საკუთრების ფორმები
14. კორპორატიული პროფილი – სენდანტ კორპორაცია
15. პერსონალური პროფილი – კონრად ჰილტონი და ჰილტონის სასტუმროების კორპორაცია
16. სასტუმროთა განვითარების ტენდენციები
17. სასტუმროს მენეჯმენტის სტრუქტურა
18. სასტუმროს ქონების მენეჯმენტის სისტემები
19. სასტუმროს საკვებისა და სასმელის განხრის მენეჯმენტის ძირითადი სტრუქტურა
20. საკვებისა და სასმელის დაგეგმვა
21. სასტუმროს რესტორნისა და ბარების მენეჯმენტის ფუნქციები
22. საზეიმო ღონისძიებების (Catering) დეპარტამენტი
23. რესტორნების კლასიფიკაცია
24. სასმელების სახეები
25. ღვინის ისტორია
26. ბარები და სასმელის მენეჯმენტი
27. სპირტიანი სასმელების მოხმარებაზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა
28. რეკრეაცია და დასვენება, მიმოხილვა
29. კომერციული რეკრეაცია (თემატური პარკები, კლუბები)
30. პერსონალური და კორპორატიული პროფილი - უოლტ დისნეი

ლიტერატურა:

Introduction to Hospitality Management, John R. Walker, Pearson Education Inc., NJ, USA, 2004.